“დინამო” (თბილისი) _ “კრილია სოვეტოვ” (კუიბიშევი)

გუშინ, 13 მაისს, ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის “დინამოსა” და კუიბიშევის “კრილია სოვეტოვის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩის პირველი წუთებიდანვე თბილისელებმა ზედიზედ მიიტანეს იერიში სტუმრების კარზე. “დინამოელები” რამდენჯერმე კარგად შეიჭრნენ “კრილია სოვეტოვის” საჯარიმო მოედანზე, მაგრამ კარში არაზუსტმა დარტყმებმა მათ დიდხანს არ მისცა საშუალება დაეხსნათ ანგარიში. ტაიმის დასასრულს ცენტრიდან მიღებული ბურთი თბილისელმა ბერეჟნოიმ კარგად გაუჭრა მარჯვენა ფრთაზე გაიოზ ჯეჯელავას. ამ უკანასკნელმა ბურთი კვლავ მეკარის საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩააწოდა, რაც ჩინებულად გამოიყენა ბორის პაიჭაძემ და პირველი ბურთი მოათავსა კუიბიშეველთა კარის ბადეში. არ გაუვლია 2 წუთსაც, რომ სტუმრების კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. 30 მეტრის მანძილიდან სპარტაკ ჯეჯელავას მიერ ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მეორე გამარჯვება მოუტანა თბილისელებს. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:0 “დინამოელთა” სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თამაში მთლიანად წარმოებდა “კრილია სოვეტოვის” საჯარიმო მოედანზე. თბილისელები გამუდმებით უტევდნენ კუიბიშეველთა კარს, მაგრამ შედეგს მათ ისევ ტაიმის მეორე ნახევარში მიაღწიეს. 24-ე წუთზე პანიუკოვმა 40 მეტრის მანძილიდან მოულოდნელი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა “კრილია სოვეტოვის” კარში, ხოლო 26-ე წუთზე გაიოზ ჯეჯელავამ _ მეოთხე. კუიბიშეველთა იერიშები თამაშის ბოლო წუთებში წარმატებით იქნა მოგერიებული მცველების ნაუმცევის, გაგუას, კიკნაძისა და ძიაშპას მიერ.

ამრიგად, თბილისელებმა შეხვედრა კუიბიშევის “კრილია სოვეტოვთან” მოიგეს ანგარიშით 4:0.

ა. გოგოლაშვილი
“კომუნისტი”, 14 მაისი, 1947 წ.